

## თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

1.1. ინჟინერიის საფუძვლები და მასალათა გამძლეობა (პროფესორი).

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის და ასევე:

- საერთაშორისო საინჟინრო-ინფრასტრუქტურულ პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- საკონსულტაციო გამოცდილება ინჟინერიის სფეროში.
- მულტი-დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება ინჟინერიის სფეროში;
- პუბლიკაციები;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

2.2. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორციელებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს **2018 წლის 12 მარტიდან - 2018 წლის 15 მარტის** ჩათვლით.

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

4.1. ბიოგრაფია (CV);

4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

4.4. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება განხორციელდეს ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - <https://form.jotform.me/80393837118462>
6. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდეს გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.
7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2018 წლის 16 მარტიდან - 2018 წლის 19 მარტის** ჩათვლით; ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2018 წლის 20 მარტიდან - 2018 წლის 23 მარტის** ჩათვლით.
8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

**9. საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიდმის საუნივერსიტეტო კამპუსი  
ვებ-გვერდი: [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge)  
ელ.მისამართი: [Vacancy@freeuni.edu.ge](mailto:Vacancy@freeuni.edu.ge)